რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 536/თ

„21“ ნოემბერი, 2018 წელი

ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მანდატურის სამსახურის მანდატურებისთვის დამატებითი მოვალეობების განსაზღვრის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის თანხმად, სასამართლოს მანდატურს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უფლება აქვს ა) გამოიყენოს ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და იარაღი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით; ბ) აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის მიმართოს პოლიციას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 34-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, აკრძალულია ძალისა და სპეციალური საშუალების გამოყენება არასრულწლოვნის (18 წლამდე პირი) მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვნის დასაკავებლად, მის მიერ თვითდაზიანების ან/და სხვებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ყველა სხვა საშუალება გამოყენებულია, მაგრამ უშედეგოდ, და კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი სხვა, ნაკლები ზიანის გამომწვევი საშუალებებით ვერ მიიღწევა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად აკრძალულია არასრულწლოვნის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიარაღებულია და პირდაპირ, უშუალო და იმწუთიერ საფრთხეს უქმნის მესამე პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და სხვა საშუალებებით ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია.

არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 34-ე მუხლის მე-8 ნაწილის იმპერატიული დანაწესის თანახმად, **სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სპეციალურად უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება.**

ვინაიდან რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს არ აქვთ გავლილი შესაბამისი მომზადება, შესაბამისად არ წარმოადგენენ სპეციალურად უფლებამოსილ პირს, უფლება არ აქვთ არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენონ სპეციალური საშუალება (ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალებები, ხელკეტი, შესაბოჭი ბადე, ცრემლსადენი გაზი ან/და წყალსატყორცნი, ცეცხლსასროლი იარაღი)

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან არასრულწლოვანთა (18 წლამდე პირი) მიმართ ძალის გამოყენებისას საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების განუხრელად დაცვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს მანდატურის სამსახურის მანდატურების დამატებითი მოვალეობები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მანდატურებს დაევალოთ:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლის არსებობისას რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოებში არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ძალის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მანდატურის სამსახურის უფროსს, სასამართლოს მენეჯერს და სასამართლოს თავმჯდომარეს;

ბ) მანდატურის სამსახურის უფროსმა დაუყოვნებლივ უზრუნველყოს არასრულწლოვნის სამედიცინო შემოწმება;

გ) რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოებში არასრულწლოვნის მიმართ ძალის გამოყენების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეადგინოს სასამართლოში არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ოქმი დანართი №1, რომლის ფორმა დამტკიცდეს ამავე ბრძანებით და რომელშიც სავალდებულოდ აღნიშნოს გამოყენებული ძალა, მისი გამოყენების დასაბუთება და სხვა მონაცემები;

დ) რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის მანდატურის სამსახურის უფროსმა აწარმოოს შესაბამისი სააღრიცხვო ჟურნალი, რომელშიც აღირიცხება სასამართლოს მანდატურის მიერ არასრულწლოვნის მიმართ ძალის გამოყენების თითოეული შემთხვევა, ამასთან უზრუნველყოს აღნიშნული სააღრიცხვო ჟურნალის ხელმისაწვდომობა არასრულწლოვნისთვის, მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატისათვის, აგრეთვე სასამართლოსათვის და იმ ორგანოსათვის, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ე) მანდატურის სამსახურის უფროსმა უზრუნველყოს უსაფრთხოების სისტემის ვიდეო კამერებიდან ძალის გამოყენების ამსახველი ვიდეოჩანაწერის დაარქივება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ოქმზე ჩანაწერის დართვა.

2. ბრძანების განუხრელად შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს;

3. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 21 ნოემბრიდან;

4. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

თავმჯდომარე

დანართი №1

დამტკიცებულია

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის

2018 წლის „21“ ნოემბრის №536/თ ბრძანებით

სასამართლოში არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ოქმი

№_____

„__“ „_____“ 20__ წელი

_____

ოქმის შედგენის ადგილი და დრო

_____

სასამართლოს მანდატურის სახელი გვარი

_____

არასრულწლოვნის სახელი, გვარი და პირადი მონაცემები რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა ძალა

_____

_____

_____

_____

_____

_____

გამოყენებული ძალა, ძალის გამოყენების საჭიროების დასაბუთება (სად, როდის, რის გამო და რა სახის)

დამსწრე პირების ხელმოწერა: (ასეთის არსებობის შემთხვევაში) _____

_____

ვის ეცნობა: _____

_____

არასრულწლოვნის ხელმოწერა: _____

ოქმის შემდგენის ხელმოწერა: _____

ოქმის შედგენის დრო: (საათი, წუთი) _____

ინსტრუქცია

- ✓ აკრძალულია ძალის გამოყენება არასრულწლოვნის (18 წლამდე პირი) მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვნის დასაკავებლად, მის მიერ თვითდაზიანების ან/და სხვებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ყველა სხვა საშუალება გამოყენებულია, მაგრამ უშედეგოდ, და კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი სხვა, ნაკლები ზიანის გამომწვევი საშუალებებით ვერ მიიღწევა;
- ✓ სასამართლოს მანდატური ვალდებულია სასამართლოში არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების ოქმში სავალდებულოდ აღნიშნოს გამოყენებული ძალა და მისი გამოყენების დასაბუთება;
- ✓ სასამართლოს მანდატური ოქმს ადგენს თითოეულ პირზე ცალ-ცალკე.